

სექტემბერი 2012

გამოყენებითი სოციალური კვლევები

ძალადობის აღწერა და პრაქტიკა სკოლაში

**ტენდენციები ქართულ სკოლებში მოსწავლეთა გამოკითხვის
მონაცემთა საფუძველზე**

(სამუშაო კერძოა)

დიანა ბოგიშვილი
ასოცირებული მკვლევარი

შინაარსი

1.	შესავალი	3
2.	კვლევის ოქორიული საფუძველი	5
3.	კვლევები სკოლებში ძალადობის შესახებ.....	11
4.	ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია და შედეგების მიმიხილვა.....	22
5.	დასკვნა.....	34
6.	აგტორის შესახებ	36
7.	ბიბლიოგრაფია.....	37

1. შესავალი

პედაგოგიურ და სოციალურ მეცნიერებებში მოზარდებში ძალადობის ფენომენს, განსაკუთრებით, ძალადობას სკოლაში, გამორჩეული უურადღება 90-იანი წლებიდან ეთმობა. მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კვლევები ადასტურებენ, რომ ძალადობის, როგორც ქცევის გამომწვევ მიზეზად, არაერთი მოტივი შეიძლება დასახელდეს. კვლევების თანახმად, ძალადობრივი ქცევის საფუძვლად და გამომწვევ მიზეზებად ოჯახური სოციალიზაციის დეფიციტი, მედიალური სამყარო და მისი გავლენის ნიადაგზე წარმოქმნილი გაუცხოების პროცესი, თანატოლთა და სკოლის, როგორც აღმზრდელობითი ინსტიტუტის, გავლენა დასტურდება¹. ძალადობრივი ქცევა ყველაზე ხშირად თორმეტიდან ოცდაოთხ წლამდე ვლინდება. მნიშვნელოვანია მოზარდებში გამოვლენილი ძალადობა, რადგან პიროვნების განვითარების პროცესში ეს ფაზა ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. სოციალიზაციის ამ პერიოდში ისწავლება საზოგადოებრივი თანაცხოვრებისთვის აუცილებელი ღირებულებები, ხდება ეთიკური და მორალური სტანდარტების გათავისება. ცხოვრების ამ ეტაპზე გამოვლენილი აგრესიული და კრიმინალური ქცევა აისახება მოზარდთა მომავალზე. ახალგაზრდა ცხოვრების ამ ფაზაში ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, პიროვნება პოულობს საკუთარ „მეს“ და იდენტობის კონსტრუირებას ახდენს. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, განვითარებად ქვეყნებში ძალადობის გამომწვევ მიზეზად ქვეყანაში არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, სოციალური უთანასწორობა და გავრცელებული სიღარიბეც სახელდება.

2011 წლის გაზაფხულზე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ქართულ სკოლებში ჩატარებული მოსწავლეთა გამოკითხვა მიზნად ისახავს, დაგვანახოს, თუ როგორ აღიქვამენ მოზარდები ძალადობას, რამდენად ხშირია იგი სკოლებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში. კვლევა წარმოადგენს მოსწავლეების გამოკითხვის საფუძველზე მიღებულ მონაცემთა ანალიზს.

ჩატარებული გამოკითხვა ეფუძნება გერმანიაში 90-იანი წლების ბოლოს ბილეფელდის უნივერსიტეტის მიერ შესრულებული პროექტის „ძალადობა

¹ Melzer, W. 2006, S.11

სკოლაში – პრობლემების ანალიზი და პედაგოგიური პრევენცია“ - კონტექსტს². პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი კლაუს-იურგენ ტილმანი. ტილმანის კვლევის ძირითადი მიზანია სკოლაში ძალადობის გამომწვევი ფაქტორების წარმოჩენა და სკოლის გარემოსთვის აუცილებელი პედაგოგიური პრევენციის შემუშავება. ბილეფელდის კვლევის ფარგლებში გაშუქდა უშუალოდ მოზარდების მიერ ჩადენილი ძალადობა და ამ ქცევის გამომწვევი ზოგადი პირობები. ძირითადი ყურადღება გამახვილდა სკოლის ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე, მაგალითად, მისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ზეწოლაზე და ამ ზეწოლის ნიადაგზე წარმოქმნილ მარცხზე. კვლევა ფოკუსირდება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. ძალადობის, როგორც ქცევის, საფუძვლად განხილული იქნა ინტერაქტიული კონტექსტი, კერძოდ ის, თუ როგორ წარმოიშვება „face-to-face“ პირდაპირი უშუალო ინტერაქციის პროცესში აგრესიული ქცევა. დაფიქსირდა მოსწავლეთა, როგორც შემსრულებლის, მსხვერპლისა და დამკვირვებლის პოზიციები.

სოციალური კვლევის დაწყებამდე აუცილებელია საკვლევ ფენომენთა ტერმინოლოგიური განსაზღვრა და შეთანხმება. ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში აგრესიული და ძალადობრივი ქცევის მოტივების ახსნისთვის არაერთი თეორია არსებობს. ფსიქოლოგია იყენებს „აგრესიის“ ტერმინს, სოციოლოგიურ ტრადიციაში კი გავრცელებულია „დევიაციური ქცევის“ ტერმინი. დევიაციური ქცევის გარდა, სოციოლოგია იყენებს, აგრეთვე, „ძალადობის“ ტერმინს. აღმზრდელობით, კერძოდ კი, განათლების თეორიებში, ხდება ამ ორივე ტერმინის გამოყენება, თუმცა „აგრესიას“ უპირატესობა ენიჭება. განათლების თეორიები, რომლებიც, ძირითადად, სკოლების კვლევას ეხება, ბოლო დროიდან იყენებს ტერმინს „ძალადობა სკოლაში“ ³.

მოზარდთა ძალადობა საზოგადოებრივი და პედაგოგიური პრობლემაა. კვლევა ეფუძნება ურიე ბრონფენბრენერის სოციალ-ეკოლოგიურ (ეკოსისტემურ) თეორიულ კონტექსტს, რომელიც პასუხობს კითხვას, თუ როგორი გავლენა

² Tillmann, K.-J.; Holler-Nowitzki, B.; Holtappels, H.G.; Meier, U.; Popp, U. (2007): „Schülergewalt als Schulproblem. Verursachende Bedingungen, Erscheinungsformen und pädagogische Handlungsperspektiven“.

³ Schubart, W. 2000, S. 13-14

აქვს გარესამყაროს (სკოლა, ოჯახი, სოციალური კონტაქტები) მოზარდთა სოციალურ ქცევაზე.

კვლევის მიზანია, დაგვანახოს მოსწავლეთა შეხედულებები სკოლის სტრუქტურული და სოციალური გარემოს შესახებ. ნაჩვენები იქნება ისიც, თუ მათ სოციალურ, კერძოდ კი აგრესიული ქცევის, ჩამოყალიბებაზე რა გავლენას ახდენს მოსწავლეთა დამოკიდებულება სკოლისადმი, სკოლის სტრუქტურა, სკოლაში არსებული პრაქტიკული მუშაობის ფორმები და მასწავლებელთა მოსწავლეებთან ურთიერთდამოკიდებულება. მეორე ნაწილში გთავაზობთ კვლევის თეორიული საფუძვლის მოკლე მიმოხილვას.

2. კვლევის თეორიული საფუძველი

კვლევა ეფუძნება ადამიანისა და გარემოს ურთიერთობისა და სოციალიზაციის პროცესის სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს. ასევე, თეორიებს აგრესიულ-ძალადობრივი ქცევის განვითარების შესახებ. განხილული და გამოყენებული იქნა ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიული მოდელი, ბონფენბრენერის სოციალურ-ეკოლოგიური სოციალიზაციის მოდელი, პარსონსის სტრუქტურულ-ფუნქციონალური და მიდის ინტერაქტიული კონცეპტები, ანომიისა და ეტიკეტირების თეორია.

პიროვნების განვითარების შესახებ თანამედროვე თეორიების თანახმად, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი (გარემო) და ფსიქიკური (ადამიანები) ფაქტორები. ადამიანთა შორის ურთიერთობები და ადამიანთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან ერთმანეთთან კომპლექსური ურთიერთქმედების საფუძველზე ვლინდება. ბავშვები, მოზარდები და ზრდასრული ადამიანები მათი გარე და შიდა რეალობის, მათი სოციალური და საგნობრივი სამყაროს შემქმნელებად გვევლინებიან. განათლება და პიროვნული განვითარება უწყვეტ პროცესს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისთვის⁴.

სოციალიზაციის თეორიების თანახმად, რომლებსაც მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს მოზარდთა კვლევის სფეროში, მნიშვნელოვან წინაპირობად

⁴ Hurrelmann, K. 1993, S. 26

ადამიანთა შორის ინტერაქციას ასახელებს, რომელიც მათ საერთო გამოცდილებას ეფუძნება. სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვან ადგილად ოჯახი, სკოლა და თანატოლები ცხადდება.

ბანდურა თავის სოციალური დასწავლის თეორიულ მოდელში „სწავლას“ განიხილავს, როგორც გამოცდილებების დაგროვების აქტიურ, კონტროლირებად და კოგნიტიურ პროცესს. მისი აზრით, ერთი მხრივ, ადამიანი თავისი ქცევით ავტომატურად კი არ რეაგირებს მის გარშემო მიმდინარე დეტერმინირებულ პროცესებზე, არამედ ეს გახლავთ გააზრებული, აქტიური პროცესი, რომელიც მის მოტივაციებზე, ემოციებსა და აზროვნებაზეა დამყარებული. მეორე მხრივ, ბანდურა განიხილავს ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, რომელიც აკვირდება სხვა ადამიანთა ქცევებს და ამ დაკვირვების ნიადაგზე ამა თუ იმ ქცევის კოგნიტურ სურათს აყალიბებს, რომელსაც საკუთარი ქმედების შემდგომ პროცესში გამოიყენებს.


ბანდურას თეორიულ მოდელში აგრესიულ ქცევასთან დაკავშირებით განხილულია საკითხი, თუ როგორ „სწავლობს“ ბავშვი აგრესიული ქცევის სპეციფიკურ ფორმებს. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად იგი „დაკვირვებას“ განიხილავს. მისი განცხადებით, ბავშვი, რაც უფრო მეტი შეხება აქვს აგრესიულ ქცევასთან, მით უფრო მეტად ითავისებს მას⁵.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სოციალიზაციის პროცესში, ინდივიდუმს, ერთის მხრივ, უხდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან შეხება და, მეორეს მხრივ, თავისი ქცევით გავლენას ახდენს ამ გარემოზე. ურიე ბრონფენბრენერი თავის მრავალწლიან კვლევით პროგრამაში, რომელიც 60-იან წლებში ჩამოაყალიბა, წარმოადგენს ეკოლოგიურად ორიენტირებული ადამიანის განვითარების ანალიზის მოდელს. სიტყვა „ეკოლოგია“ სოციალური სოციალიზაციის კვლევებში განისაზღვრება, როგორც „ცხოვრების სამყარო“. ბრონფენბრენერის თანახმად, ადამიანი თავისი განვითარების პროცესში ეგუება თავის გარემომცველ სამყაროს, რომელშიც ის ცხოვრობს. თავისი მრავალწლიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს სხვადასხვა კომპეტენციას, რომლებიც მას საკუთარი ქცევის განსაზღვრაში

⁵ Otten, S., Mummendey, A. 2002, S.202-203

ეხმარებიან. ბრონფენბრენერისთვის სოციალიზაცია დია პროცესია, რომელშიც ინდივიდუმს თავის გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთგაცვლითი დამოკიდებულება აქვს. სიტყვა „სამყაროში“ იგი აერთიანებს ერთმანეთში „ჩაწყობილ“ ეკოლოგიურ სისტემებს ანუ ორგანიზაციებს, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენენ მის ქცევაზე. ბრონფენბრენერი წარმოადგენს შემდეგ სისტემებს:

1. **მიკროსისტემა:** ადამიანის ურთიერთობა, მაგალითად, ოჯახთან, სკოლასთან;
2. **მეზოსისტემა:** სხვადასხვა სისტემების ინტერაქცია, მაგალითად, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობა;
3. **მაზოსისტემა:** სისტემა, რომელშიც ადამიანი თვითონ არ მონაწილეობს, მაგრამ ამ სისტემას გავლენა აქვს მის ცხოვრებაზე, მაგალითად, დედის ან მამის სამუშაო ადგილი;
4. **მაკროსისტემა:** საზოგადოებრივი სისტემების ერთობლიობა, მათი იდეოლოგიები, ღირებულებები, ნორმები, ტრადიციები, კანონები ⁶.



ნახ. 1 ბრონფენბრენერის სოციალებოლოგიური სოციალიზაციის მოდელი

ადამიანის მრავალწლიანი განვითარების პროცესში, მის გამოცდილებასთან ერთად, მრავლდება, ასევე, მისი საზოგადოებრივი როლებიც. ეკოლოგიურ სივრცეში გადაადგილებას, რომელშიც ადამიანი სხვადასხვა სოციალურ როლს იღებს, ბრონფენბრენერი „ეკოლოგიურ გარდასახვას“ (ökologische Übergänge) უწოდებს. სხვადასხვა ეკოლოგიურ სივრცეში (ორგანიზაციებში) ეოველდლიური მონაწილეობა და ადამიანებთან ურთიერთობა მოითხოვს ახალ

⁶ Grundmann, M. 2000, S. 18-31

გამოწვევათა დაძლევას, რის საფუძველზეც ინდივიდუმს შეუძლია, დიფერენცირებულად აღიქვას და აქტიურად გაითავისოს სამყარო⁷.

სოციალიზაციის თეორიებში აღსანიშნავია ამერიკელი სოციოლოგის, ტალკოტ პარსონსის, სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორია. პარსონსი ერთმანეთს უკავშირებს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური დინამიკის მიკროპერსპექტივასა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურების მაკროპერსპექტივას. ინდივიდების სოციალურ ქცევას იგი განიხილავს არა განყენებულად, არამედ სოციალურ სისტემებთან კავშირში. სოციალურ სისტემაში მოქმედი ინდივიდი ფლობს სოციალურ როლებს, რომელთა განსაზღვრაც ხდება როგორც სოციალური ჯგუფის წევრების, ასევე სოციალური სისტემებისადმი მიმართული ნორმატიული მოლოდინებით. პარსონსი სოციალიზაციას განმარტავს, როგორც სოციალურ სამყაროში ამ სოციალური როლების ნორმების ინტერნალიზაცია-გათავისების პროცესს⁸.

სოციალიზაციის პროცესის შესახებ, აგრეთვე, აღსანიშნავია გ. ჰ. მიდის შეხედულება. თავის ინტერაქციის თეორიაში იგი განიხილავს სუბიექტების მიერ სხვა სუბიექტების პერსპექტივების მიღება-გათავისების პროცესს. მიდი აცხადებს, რომ ადამიანებს, ცხოველებისგან განსხვავებით, სხვა ადამიანებთან დაკავშირებით გარკვეული მოლოდინი აქვთ და, ამავე დროს, იციან, რომ სხვებიც ანალოგიურს განიცდიან მათ მიმართ. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ვირტუალურად ვიღებთ მათ ადგილს და ამგვარად ვახდენთ ჩვენი საკუთარი თავისა და სიტუაციის აღქმას. ამ პროცესის მედიუმი არის ენა ანუ ინტერაქცია: თუ ჩვენ რაღაცას ვამბობთ, ამ შემთხვევაში, ჩვენ ვართ არა მარტო ნათქვამის ავტორები, არამედ, ასევე, ჩვენი ნათქვამის მსმენელებიც, და ნათქვამს განვიცდით იმგვარად, როგორც სხვები. სწორედ ამ გათავისებულ, სხვების მიერ მოსალოდნელ აღქმას უწოდებს მიდი სოციალიზაციას, რომლის დროსაც ჩვენ შეგვიძლია სხვათა პერსპექტივების მიღება-გათავისება და სხვებს კი – ჩვენი. მიდი მათ „გენერალიზებულ ანუ განზოგადებულ სხვას“ უწოდებს. ენა ყველა მონაწილისთვის არა ინდივიდუალურ-სუბიექტური, არამედ ინტერსუბიექტურია. ენას კონსტრუქტივისტული ფუნქცია აკისრია, ის

⁷ Grundmann, M. 2000, S.45

⁸ Hurrelmann, K. 1993, S. 42

ჩვენთვის და სხვებისთვის საერთო მნიშვნელობებს ანიჭებს ჩვენს სამყაროებს⁹.

სიტყვა „ანომია“ ბერძნული სიტყვიდან „Nomos~ მომდინარეობს და „კანონს“ ან „წესს“ ნიშნავს. სოციოლოგიური მნიშვნელობით კი „ნორმების არარსებობის“ აღმნიშვნელია. სოციოლოგიაში სიტყვა „ანომია“ 1893 წელს ფრანგმა სოციოლოგმა, ემილ დურკჰემმა, დაამკვიდრა. მის თანახმად, ანომია სოციალური დეზინტეგრაციაა. დურკჰემის აზრით, სოციალური ნორმების და საზოგადოებრივი მორალური ავტორიტეტების აღიარება აუცილებელი წინაპირობაა ადამიანური მოთხოვნილებების რეგულაციისთვის. მოქმედი ნორმების უსაფრთხოება არასტაბილურ ურთიერთობებში იკარგება და ანომიის მდგომარეობა წარმოიშვება. ამგვარად, ანომია გამოიხატება საერთო ნორმატიული კანონების ნაკლებობაში, რაც, თავის მხრივ, დევიაციური ქცევის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს.

1968 წელს ამერიკელმა სოციოლოგმა, რობერტ მერტონმა, განავრცო დურკჰემის ანომიის თეორია – მან განასხვავა „კულტურული“ და „საზოგადოებრივი“ სტრუქტურა. კულტურული სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება კულტურულად განსაზღვრული მიზნები და ლეგიტიმური საშუალებები საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის. იდეოლოგიური თანასწორობის თანახმად, საზოგადოების ყველა წევრს ეძლევა უფლება, დაუფლოს სიმდიდრეს, როგორც კულტურულად განსაზღვრულ მიზანს. აქ იგულისხმება საზოგადოებრივი დაბალი ფენიდან მაღალ ფენაზე გადასვლა. საზოგადოების ანომიური ანუ ნორმების არარსებობის მდგომარეობა უბიძებს დევიაციური ქცევის წარმოშობას ანუ საზოგადოების წევრები არაკანონიერი წესით ცდილობენ საკუთარი მიზნების განხორციელებას, კერძოდ, სიმდიდრის დაუფლებას¹⁰.

პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორი, გილფრიდ შუბარტი, თავის კვლევებში ცდილობს ახსნას მოზარდთა დევიაციური ქცევის გამომწვევი მიზეზები ანომიის თეორიაზე დაყრდნობით. შუბარტის აზრით, მოზარდები ძალიან მგრძნობიარენი არიან, როდესაც საქმე მათ პროფესიულ განათლებას ეხება. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებული დამთავრება.

⁹ Geulen, D. 2002, S. 94

¹⁰ Schubarth, W. 2000, S.28

შუბარტი აცხადებს, რომ, როდესაც მოზარდები ყოველდღიურად განიცდიან და ხედავენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის წარმატება, სიმდიდრე და პრესტიჟი, მაგრამ თავად ვერ აღწევენ ამას, თავს საზოგადოებისგან გარიყულად ანუ უარყოფილად გრძნობენ და აგრესიულები და მოძალადები ხდებიან¹¹.

ანომიის თეორიის საშუალებით კარგად შეიძლება აღიწეროს, თუ საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიური პირობები როგორ გავლენას ახდენს მოზარდებში ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბებაზე. შუბარტის აზრით, მოსწავლეებში ძალადობის გამომწვევი მიზეზების ძიება არა თავად მოსწავლეებში, არამედ სკოლებში უნდა მოხდეს. კარგად უნდა გავაანალიზოთ, თუ როგორ გარემოში უხდებათ მათ ცხოვრება და სწავლა¹².

ანომიის თეორიის მნიშვნელობას ძალადობის წინააღმდეგ პრევენციისთვის შუბარტი შემდეგნაირად აჯამებს:

1. ანომიური სიტუაციები უნდა აღმოიფხვრას, ამის მიღწევა შესაძლებელია სოციალური უთანასწორების შემცირების ნიადაგზე, ანუ აუცილებელია თანასწორუფლებიანობა, რომლის ნიადაგზეც მოზარდებისთვის ხელმისაწვდომი იქნება განათლება;
2. კონკრეტულ შემთხვევებში არსებული კონფლიქტური სიტუაციები პედაგოგთა თანამონაწილეობით, დახმარებითა და ხელშემწყობი ღონისძიებით უნდა შემცირდეს.

შუბარტის აზრით, სკოლის ორგანიზება ისე უნდა მოხდეს, რომ ყველა მოსწავლეს განათლების მიღების თანაბარი შანსი მიეცეს. მისი სიტყვებით, „სკოლა, როგორც „სამართლიანი ორგანიზაცია“, ვალდებულია, ისეთი სოციალური გარემო შექმნას მოსწავლეებისთვის, რომელშიც მათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემათ და სკოლის შიში მოეხსნებათ“¹³.

ეტიკეტირების (Labeling Approach) თეორიის თანახმად, არსებობს ორი სახის დევიაცია: პირველადი (primär) და მეორადი (sekundär). პირველადი დევიაციის

¹¹ Schubarth, W. 2000, S.29

¹² Melzer, W., Schubarth, W. et al., 2004, S.64

¹³ Melzer, W., Schubarth, W. et al., 2004, S.64-65

ახსნა სხვადასხვა მიზეზების საფუძველზე ხდება, მეორადი დევიაცია კი მხოლოდ სოციალური გარემოს მიერ მიწერილი როლით, ეტიკეტირებით, აიხსნება.

დორტმუნდის უნივერსიტეტის პროფესორ ჰაინც-გუნტერ ჰოლტაპელსის აზრით, რომელიც სკოლასა და მის განვითარებას იკვლევს, ეტიკეტირების თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდებში ძალადობის ახსნისას. მისი შეფასებით, ვინც სკოლაში ნეგატიურად ხვდება თვალს, სტიგმატიზაციის მსხვერპლი ხდება. ამგვარად, სოციალური ინტერაქციაში ჩამოყალიბებული მოსწავლის ნეგატიური იდენტობის სურათი, საბოლოოდ, დევიაციური ქცევისკენ უბიძგებს მას¹⁴.

შებარტის და მელცერის თანახმად, აუცილებელია თავიდანვე აღმოიფხვრას მოსწავლეების ეტიკეტირების შემთხვევები, რომლებიც სკოლებში შეიმჩნევა. ამისთვის აუცილებელია, რომ მასწავლებლებმა თავიდანვე აღმოფხვრან გავრცელებული სტიგმატიზირების თითოეული მაგალითი და პროცესი, ანუ უნდა შეწყდეს მოსწავლეების ნეგატიური დახასიათება და გავრცელდეს მოსწავლეთათვის დადებითი მოტივირების ფორმები.¹⁵

3. კვლევები სკოლებში ძალადობის შესახებ

როგორც წინა ნაწილში განვიხილეთ, სოციალიზაციის პროცესს გარემო განსაზღვრავს. სოციალიზაციის პროცესების მკვლევარი, დიტერ გოლენი, „გარემოს“ მიაკუთვნებს ადამიანის „სოციალურ სამყაროს“, „სუბკულტურ სამყაროს“, „ოჯახს“, „თანატოლებს“, „ქუჩას“, „სკოლას“ და ა.შ. ადამიანისთვის იგი განასხვავებს სამ ცხოვრებისეულ პირობას:

1. მატერიალური პირობა, მაგალითად, სახლი, სათამაშო, ბუნება, შენობა და ა.შ.;
2. კულტურული პირობა, მაგალითად, წიგნი და ყველა სახის მედიალური საშუალება;
3. სოციალური პირობა, სხვებთან ინტერაქციის გამოცდილება¹⁶.

¹⁴ Schubarth, W. 2000, S.34

¹⁵ Melzer, W., Schubarth, W. et al., 2004, S.67

¹⁶ Geulen, D. 2002, S.84

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ძალადობის კვლევისას შემდეგნაირად ნაწილდება: კვლევებში სკოლაში ძალადობის შესახებ განასხვავებენ სკოლის გარედან შემოტანილ სოციალიზაციას და სკოლის შიგნით სოციალიზაციას. სკოლის გარედან შემოტანილ სოციალიზაციაში იგულისხმება ოჯახის, თანატოლებისა და მედიის გავლენა მოზარდებზე. სკოლის შიგნით სოციალიზაცია კი გულისხმობს მათზე სკოლის სოციალუროლოგიური და ინტერაქტიული კონტექსტის გავლენას.

შებარტის (2000) მიხედვით, გერმანიაში 90-იან წლებამდე ძალიან ცოტა კვლევა ტარდებოდა სკოლებში ძალადობაზე. აღსანიშნავია პაინც გუნტერ ჰოლტაპელსის კვლევა, რომელიც მოსწავლეთა პოზიციებიდან და თვალთახედვიდან სწავლობს მოსწავლეთა პრობლემებსა და დევიაციური ქცევის სახეებს. ჰოლტაპელსის აზრით, სკოლაში ძალიან კარგად ვლინდება საზოგადოების სტრუქტურის სახე. ხშირად ძალადობრივი ქცევის მიზეზები სკოლის გარე ფაქტორებთან (ოჯახი, თანატოლები, მედია) კავშირში განიხილება, რომელთა დაძლევაც სკოლისთვის შეუძლებელი ხდება. ჰოლტაპელსის განცხადებით, მოძალადე მოზარდები მოძალადებად არ იძადებიან, არამედ ასეთებად სოციალიზაციის პროცესი ყალიბდებიან. მისი თეზის თანახმად, ეგზისტენციურ კრიზისში მყოფი ოჯახებიდან გამოსული მოზარდები უფრო ავლენენ აგრესიულ-ძალადობრივ ქცევას¹⁷.

ჰოლტაპელსი სკოლებში დევიაციის სოციოლოგიურ ემპირიულ კვლევაში, რომელსაც თხუთმეტი წლის განმავლობაში აწარმოებდა, სოციალიზაციის ეფექტებს, ძირითადად, სკოლის სიტუაციურ და ინტერაქტიულ კონტექსტში განიხილავს; ამასთან, ყურადღებას უთმობს ბავშვებისა და მოზარდების სოციალიზაციის პროცესის ახსნას. კვლევა ეხება მოსწავლეების იმ პრობლემების გამომწვევ პირობებს, რომლებიც სკოლაში არსებობს, და მოსწავლეთა დევიაციურ ქცევას. კვლევის კონტექსტი ეყრდნობა მოსწავლეთა თვალთახედვის წარმოჩენას. ჰოლტაპელსის თანახმად, სასწავლო პროცესი, წარმატებულობისა და ადაპტაციის იძულება და, ასევე, მოსწავლეთა კონტროლი გავლენას ახდენს როგორც მათი იდენტობის ჩამოყალიბებაზე,

¹⁷ Schubarth, W.2000, S.68

აგრეთვე, მათ კვალიფიკაციაზე, მათ პრაქტიკულ და კოგნიტურ უნარებსა და კომპეტენციაზე; ზრდის პროფესიულ და საზოგადოებრივ შანსსა და პერსპექტივას. კვლევის ფუნდამენტური კითხვაა: როგორ გავლენას ახდენს მოსწავლეებსა და მათი პრობლემების, კერძოდ კი, სკოლის ყოველდღიურობის დაძლევის პროცესზე სკოლაში არსებული კონკრეტული პირობები, კონკრეტულად, სკოლის გარემო, მოსწავლეთა ინდივიდუალური მდგომარეობა სკოლაში, სკოლის შიდა კონტროლი და მოსწავლეთა ეტიპეტება? მოსწავლეები განიხილებიან არა როგორც აღსაზრდელი ობიექტები, არამედ როგორც სუბიექტები, რომლებიც თავიანთი ქცევით გარემოსთან ურთიერთკავშირში იმყოფებიან და სკოლასთანაც ინდივიდუალური ურთიერთობა აქვთ. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები¹⁸.

პოლტაპელსის მიხედვით, სკოლის ინსტიტუციური ნორმები და სტრუქტურული ფუნქციები აყალიბებენ მოსწავლეთა სოციალურ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს. პოლტაპელსი ასევავებს სკოლისთვის დამახასიათებელ შემდეგ სტრუქტურულ ფუნქციებს:

- სკოლის საგალდებულო ხასიათი;
- სკოლა, როგორც სასწავლო დაწესებულება;
- წარმატების პრინციპის დომინირება;
- სკოლის იერარქიული ხასიათი;
- სკოლის საჯარო ხასიათი¹⁹.

სკოლის ყოველდღიურ პრობლემურ სიტუაციებში მოსწავლეების რეაქცია, ძირითადად, ან ადაპტირებაა (შეგუება), ან დისტანციის დაჭერა, ან უპარახევა, ან კიდევ, წინააღმდეგობის გაწევა. აქედან გამომდინარე, პოლტაპელსის კვლევა დაფუძნებულია ორ მთავარ ინდიკატორზე:

1. პრობლემების აღქმა და მოსწავლეთა გამოცდილება სკოლაში;
2. სკოლის ყოველდღიურობის დაძლევა და პრობლემების გადაწყვეტა მოსწავლეების მიერ.

პირველ ინდიკატორთან დაკავშირებით შემდეგი კითხვები დაისვა:

- როგორ აღწერენ და აფასებენ მოსწავლეები თავიანთ სასკოლო გარემოს?

¹⁸ Holtappels, H.-G. 1987, S.12

¹⁹ Holtappels, H.-G. 1987, S.18

- რომელ სუბიექტზე პრობლემებს აღიქვამენ მოსწავლეები სკოლის ყოველდღიურობაში და როგორი პრობლემური სიტუაციები ხვდება თვალს?
- როგორ აღწერენ მოსწავლეები სკოლის სხვადასხვა მაკონტროლებელ ფორმებს? რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი სკოლაში გავრცელებულ პრევენციული ხასიათის ზომებსა და სოციალური მუშაკების საქმიანობას?

მეორე ინდიკატორთან დაკავშირებით შემდეგი კითხვები დაისვა:

- როგორ ახერხებენ მოსწავლეები სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემების დაძლევას ანუ დაძლევის რა ხერხები აქვთ შემუშავებული?
- რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს სკოლის წესებისა და ნორმების მიმართ? როგორ განსაზღვრავენ ისინი „სკოლის ჩვეულებრივ დღეს“ და „დევიაციურ ქცევას“?
- როგორ რეაგირებენ მოსწავლეები ეტიკეტირების პროცესებზე? ²⁰

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეების მიერ შემუშავებული მოსწავლის სახე და მისი დამოკიდებულება სკოლის ყოველდღიურობასთან ეწინააღმდეგება სკოლას, როგორც ინსტიტუციას, და მის მიერ ჩამოყალიბებული ნორმების მოთხოვნებს. მოსწავლეები სკოლას თავიანთი შეხედულებებიდან გამომდინარე ითავისებენ, სკოლაში ეძებენ საკუთარი იდენტობის ბალანსირების გზებს, სკოლის მოთხოვნილებების დასაძლევად განავითარებენ სხვადასხვა ორიენტაციასა და ქცევის სტრატეგიას²¹. გარდა ამისა, გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არახელსაყრელად ორგანიზებული სკოლის გარემო და სკოლის სტრუქტურული ფუნქციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებში დევიაციური შეხედულებების განვითარებას, აღვივებს წარმატების შიშს და აღრმავებს დისტანციას სკოლასთან. სოციალური კონტროლი და მოსწავლეების ეტიკეტება წარმოქმნის და აძლიერებს სასკოლო პრობლემებს. კვლევამ აჩვენა, თუ სკოლის პოზიტიური გარემო როგორ გავლენას ახდენს დევიაციური ქცევისა და ეტიკეტირების შემცირების რიცხვზე. პოლტაპელსი თავის კვლევას შემდეგნაირად აფასებს: „კვლევის შედეგები აჩვენებენ, რომ სკოლის პრობლემები და დევიაცია ერთმანეთთან მჰიდრო კავშირშია; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად

²⁰ Holtappels, H.-G. 1987, S.29

²¹ Holtappels, H.-G. 1987, S.346

სკოლაც ხელს უწყობს არაერთი პრობლემის განვითარებას, ამის აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება“²².

90-იანი წლების დასასრულიდან კვლევის ეს სფერო განსაკუთრებით გაძლიერდა. ამის მიზეზად შუბარტი სამ რამეს ასახელებს:

1. ძალადობის, როგორც სოციალური პრობლემის გამოკვლევის აუცილებლობა;
2. არსებული პრობლემის ასახსნელად თეორიული საფუძვლის მომზადება და სხვადასხვა თეორიული კონცეპტების საფუძველზე ემპირიული მასალის მოგროვება;
3. განსაზღვრული სოციალური პრობლემისთვის შესაძლებელ ცვლილებათა შემუშავება.

შუბარტის განცხადებით, ძნელია იმაზე მსჯელობა, 90-იან წლებამდე ძალადობა სკოლაში რამდენად წარმოადგენდა სოციალურ პრობლემას. ამ პრობლემის საჯარო თემატიზირება გერმანიაში მედიის საშუალებით სწორედ 90-იანი წლებიდან დაიწყო, რამაც საფუძველი ჩაუყარა კვლევების განვითარებას. კვლევები, ძირითადად, სამ საორიენტაციო კითხვას ეფუძნება:

1. ძალადობის მოცულობა (რაოდენობა) და მისი გამოხატვის ფორმები;
2. ძალადობის გამომწვევი მიზეზები და პირობები;
3. პრევენციული პროგრამების შემუშავების აუცილებლობა.

კვლევების თეორიულ საფუძველს მოდერნიზაციის, ინდივიდუალიზაციის, ანომიის, სოციალური კოლონიური, კონსტრუქციულ-ეთნომეთოდოლოგიური და ინტერაქციონისტული თეორიების მოსაზრებები წარმოადგენს. გარდა ამისა, გამოიყენეს სოციალ-კონიტური, კოგნიტურ-ფსიქოლოგიური მიდგომები სოციალური როლების, პიროვნების განვითარებისა და იდენტობის კრიზისის შესახებ. კვლევები, უპირატესად, სტანდარტული გამოკითხვის მეთოდს ეყრდნობა. მონაცემთა ბაზაზე მოხდა მოსწავლეების ძალადობის აღქმის, ძალადობის მსხვერპლთა და შემსრულებელთა შეხედულებებისა და გამოცდილებების ინტერპრეტაცია²³.

ბილეფელდის პროექტი „ძალადობა სკოლაში – პრობლემების ანალიზი და სკოლაში პედაგოგიური პრევენცია“ 1994 წლიდან 1997 წლამდე

²² Holtappels, H.-G. 1987, S.349

²³ Schubarth, W. 2000, S.68

მიმდინარეობდა. პროექტის ხელმძღვანელები არიან

პროფესორი კლაუს-

იურგენ ტილმანი და პროფესორი ჰაინც-გუნტერ ჰოლტაპელსი.

პროექტში ძალადობრივი ქცევის გამომწვევი პირობების კვლევა სამ სფეროს მოიცავდა:

1. სკოლის გარე სოციალიზაცია და მოსწავლეთა პიროვნების განვითარება (ოჯახი, თანატოლები, მედია);
2. სკოლის შიდა სასწავლო და აღმზრდელობითი გარემო;
3. სკოლის ინტერაქტიული კონტექსტი და სოციალიზაცია.

შედეგები გვაწვდიან ინფორმაციას ძალადობრივი ქცევის სახეებისა და რაოდენობის შესახებ. ასევე ცხადი გახდა, რომ ძალადობის ფაქტები გახშირებულია 70-იანი წლების შემდეგ. გამომწვევი პირობების საფეხურებრივი განხილვა საშუალებას იძლევა, დადგინდეს, თუ რამდენად მოხდა სკოლაში ძალადობის იმპორტირება და და მისი განვითარება. კვლევის პირველი ნაწილი ეძღვნება გამოხატვის ფორმების აღწერას: ძალადობის ორ ფორმები და რაოდენობა იჩენს თავს? სკოლის რომელ ფორმებში (Hauptschule²⁴, Realschule²⁵, Gymnasium²⁶) და რომელ კლასებში? ბიჭებში თუ გოგონებში? მეორე ნაწილში განხილულია მოზარდების ცხოვრების პირობები სკოლის გარეთ: როგორი ბიოგრაფიული გამოცდილება, ოჯახური კონტექსტი, მეგობრების გარემო აქვთ მოზარდებს და ახდენს თუ არა ეს ყველაფერი გავლენას ძალადობრივი ქცევის ფორმებზე? მესამე ნაწილი შეისწავლის სკოლაში არსებული სიტუაციის კონტექსტს: რამდენად ახდენს გავლენას სკოლაში ძალადობაზე იქ გავრცელებული პრაქტიკული სამუშაო ფორმები, სკოლის გარემო, მასწავლებელთა ანგაუირება. საბოლოოდ, კვლევის ძირითადი საკვლევი კითხვა ამგვარად შეიძლება, ჩამოყალიბდეს: რადგან პრობლემების წარმომქმნელი სტრუქტურები სკოლის გარეთაა, მოზარდობა ძალადობა სკოლაში გარე ფაქტორებიდან არის იმპორტირებული, თუ

²⁴ *Hauptschule*: საშუალო სკოლის ფორმა გერმანიაში. მეხუთე კლასიდან მეათე კლასამდე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით (სწავლის გაგრძელება მხოლოდ ტექნიკურ კოლეჯშია შესაძლებელი).

²⁵ *Realschule*: სკოლის ფორმა გერმანიაში. მეხუთე კლასიდან მეთორმეტე კლასამდე გაფართოებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით (სწავლის გაგრძელება პროფესიულ აკადემიაში და წარმატების შემთხვევაში უნივერსიტეტშიც შეიძლება).

²⁶ *Gymnasium*: სკოლის ფორმა გერმანიაში. მეხუთე კლასიდან მეცამეტე კლასამდე გაფართოებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით (ატესტაცის საუნივერსიტეტო წინაპირობის დანიშნულება აქვს).

სკოლასაც, თავისი ინტერაქტიული და შიდა გარემოთი, თავისი წელი შეაქვს ძალადობრივი ქცევის განვითარებაში?

1994-1997 წლებში ჩატარდა მრავალსაფეხურიანი გამოკითხვა: 1994 წელს – სკოლის ადმინისტრაციის სტანდარტული გამოკითხვა, 1995 წელს – VI-X კლასის მოსწავლეების სტანდარტული გამოკითხვა. 1997 წელს კი კვლევის შედეგები განავრცეს თვისებრივი მეთოდით გამოკითხვით.

მასწავლებელთა გამოკითხვამ უჩვენა, რომ სკოლებში ძალადობრივი ქცევის ნაცვლად უფრო მოსწავლეთა „რთული“ ქცევის მაგალითების მანიფესტირება ხდება, როგორიცაა: მოსწავლეთა ეგოისტური ორიენტაციები, კოლექტიური ვალდებულებების თავიდან აცილება, არატოლერანტურობა. ესენი არა ძალადობრივი ქცევებია, არამედ სოციალური ქცევის დეფიციტი²⁷.

კვლევის პირველი სფერო ეხება სკოლის გარე სოციალიზაციასა და მოხწავლეთა პიროვნების განვითარებას (ოჯახი, თანატოლები, მედია). ოჯახის სოციალიზაციის საკითხთა კვლევისას ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზები, რომლებიც მოგვიანებით კვლევამ დაადასტურა:

- მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მოღოდინი უფრო დიდია:
 - თუ ოჯახი ეკონომიკურ სიდუხებით განიცდის;
 - თუ ოჯახის აღზრდის მეთოდები შემზღვდველია;
 - თუ ოჯახის კეთილდღეობის მაჩვენებელი დაბალია;
 - თუ ოჯახში ძალადობა სჭარბობს.

აგრეთვე, თანატოლების (peer-group) გავლენასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა კვლევისას კი დადასტურდა შემდეგ ჰიპოთეზები:

- მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მოღოდინი უფრო დიდია:
 - რაც უფრო ნაკლებია თანატოლთაგან გაზიარებული დირებულებების ფასეულობა
 - თუ მოსწავლეები მოძალადე და არატოლერანტული მოზარდების გარემოცვაში იმყოფებიან

²⁷ Tillmann, K.J./Meier, U. 2000, S.37

- თუ მოსწავლეების სამეგობრო წრე მხოლოდ ბიჭებისგან შედგება²⁸.

კვლევამ დაადასტურა, ასევე, მედიის გავლენა. გამოიკვლიერ მედიის მოხმარების ხანგრძლივობა. ასევე, იკვლევდნენ იმასაც, რამდენად ხშირად უკრძალავდნენ მშობლები მის ყურებას და რა იყო მოხმარებული გადაცემების თემატიკა. კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს: მოზარდები მით უფრო ძალადობრივები არიან, რაც უფრო დიდხანს სხედან ტელევიზორსა და სხვა ელექტრონულ მედიასთან და რაც უფრო მეტად უკრძალავენ მშობლები მათ მოხმარებას. დადგინდა ისიც, რომ, რაც უფრო მეტ ძალადობის სცენის შემცველია ის გადაცემები, რომლებსაც მოზარდები უყურებენ, მით უფრო მეტად მოძალადენი ხდებიან ისინი²⁹.

კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა სკოლის შიდა ხასწავლო და აღმზრდებლობით გარემოს და მის გავლენას მოსწავლეების ძალადობრივ ქცევაზე. სკოლის გარემო განისაზღვრა, როგორც სოციალ-ეკოლოგიური გარემო. გამოიყო შემდეგი ინდიკატორები და დიმენსიები:

- **სკოლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული პირობები:**
 - ⇒ სკოლის ფორმა;
 - ⇒ სკოლის სიდიდე;
 - ⇒ რომელ რეგიონში მდებარეობს სკოლა.
- **სასწავლო კულტურა:**
 - ⇒ სასწავლო პროცესში მასწავლებელთა ანგაუირება;
 - ⇒ გაკვეთილის დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური ხარისხი;
 - ⇒ რეალობაზე გათვლილი სასწავლო პროგრამა;
 - ⇒ გაკვეთილის მეთოდოლოგიური მრავალმხრივობა;
 - ⇒ უწყობენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეებს სწავლაში ხელს;
 - ⇒ კლასგარეშე საქმიანობა;
 - ⇒ სასკოლო შენობისა და საკლასო ოთახების მდგომარეობა.

სასწავლო კულტურასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შემდეგი პიპოთეზები:
მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მოღრიდინი უფრო დიდია:

²⁸ Tillmann, K.-J. et al (2007), S.52

²⁹ Tillmann, K.-J. et al (2007), S.56

- თუ სკოლის შენობა და საკლასო ოთახები ნაკლებად კეთილმოწყობილია;
 - თუ რეალურ ცხოვრებაში ნაკლებადაა შესაძლებელი სასწავლო პროგრამის გამოყენება;
 - თუ გაკვეთილი მეთოდოლოგიურად მრავალმხრივი არ არის;
 - თუ მასწავლებლები არ უწყობენ მოსწავლეებს ხელს;
 - თუ მოსწავლეებს სასწავლო პროგრამის დატლევის შიში აქვთ და იმედგაცრუებას განიცდიან იმის გამო, რომ ვერ მიაღწიეს წარმატებას.
- სოციალური კლიმატი:

- ⇒ სკოლის კომუნიკაციური სამყარო;
- ⇒ ინტერაქციის ფორმები მასწავლებელთან;
- ⇒ მოსწავლეთა ურთიერთობები.

სოციალურ კლიმატთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შემდეგი პიპოთეზები:

მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მოღოვინი უფრო დიდია:

- თუ მათ ცუდი ურთიერთობა აქვთ მასწავლებელთან;
- თუ დისციპლინური ზეწოლა დიდია;
- თუ მასწავლებლები შემზღვდველ აღმზრდელობით მეთოდებს იყენებენ;
- თუ მოსწავლეებს სასკოლო ცხოვრებასა და გაკვეთილის მსვლელობაში მონაწილეობის მიღების ნაკლები საშუალება აქვთ;
- თუ არაინტენსიურია მოსწავლეთა სოციალური კავშირი³⁰.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ისეთ სკოლებში, სადაც მაღალია სკოლის ფორმების კულტურა და რანგი, როგორიცაა, მაგალითად, გიმნაზია, ფიზიკური ძალადობის მაჩვენებელი დაბალია. და დაბალი რანგის სკოლებში (Hauptschule, Realschule) კი - პირიქით. რაც შეეხება ფსიქიკურ ძალადობას, აქ განსხვავების დაბალი კოეფიციენტი აღინიშნება. გარდა ამისა, შედეგებმა გვიჩვენა, რომ სკოლებში, სადაც მოსწავლეებისათვის რთულია სწავლების პროცესი, ძალადობრივი ქცევის მაგალითები უფრო ხშირია. ამგვარად დადგინდა, რომ სკოლის ფორმა (Hauptschule, Realschule, Gymnasium)

³⁰ Tillmann, K.-J. et al (2007), S.57-59

კორელაციურ დამოკიდებულებაშია ძალადობასთან. სკოლის სიდიდესა და ძალადობას შორის არანაირი გავლენა არ დადგინდა³¹.

რაც შეეხება სასწავლო კულტურას, აქ აღინიშნა შესამჩნევი, მაგრამ არა ძლიერი დამოკიდებულება ძალადობრივ ქცევასთან. ძალადობის შემცირებაზე განსაკუთრებულ გავლენას მოსწავლეებზე ორიენტირებული გაკვეთილი ახდენს. ფსიქიკური ძალადობის შესამცირებლად სასწავლო მასალის რეალობასთან სიახლოვე სახელდება. ფიზიკური ძალადობის აღმოსაფხვრელად კი მიზანშეწონილია კლასგარეშე საქმიანობის განვითარება. ყველა სახისა და ფორმატის სკოლებში შემზღვდველი აღმზრდელობითი მეთოდები ნებატიური შედეგის მომტანია. ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ძალადობას. ამავე დროს, მასწავლებლებისგან მოსწავლეების აღიარება ძალადობის შემამცირებელ ფაქტორად დასტურდება. ასევე დადასტურდა, რომ კლასს, როგორც წარჩინებულ ჯგუფს, გავლენა აქვს ძალადობის დაბალ მაჩვენებელზე. შემაჯამებელი ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ სკოლის დადებითად ორგანიზებულ სოციალურ-გოლოგიურ გარემოს მნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქვს ძალადობასთან³².

კვლევის მესამე ნაწილი ეძღვნება სკოლის ინტერაქტიულ კონტაქტებს, კერძოდ, კონფლიქტურ სიტუაციებში ინტერაქციის ფორმებსა და ეტიკეტირების პროცესებს. ჩამოყალიბდა შემდეგი საკვლევი ჰიპოთეზები:

მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მოლოდინი უფრო დიდია:

- თუ მოსწავლის სწავლის დონე დაბალია და იგი „ჩამორჩენილთა“ სიაში ირიცხება;
- თუ ისინი აღიქვამენ, რომ სკოლაში სოციალურად ეტიკეტირებულთა სიტუაციაში იმყოფებიან.

შედეგმა დაადასტურა ამ ჰიპოთეზების სიმართლე. გარდა ამისა, ისიც აჩვენა, რომ სოციალურ ეტიკეტირებას, განსაკუთრებით, ბიჭები, დაბალი სოციალური ფენის, კერძოდ კი, მუშათა კლასიდან წამოსული მოსწავლეები, და დაბალი რანგის სკოლებში (Hauptschule, Realschule) მოსწავლე ბავშვები განიცდიან.

³¹ Tillmann, K.-J. et al (2007), S.237

³² Tillmann, K.-J. et al (2007), S.238

შედეგებიდან გამომდინარე გაკეთდა დასკვნა, რომ ეტიკეტირებული მოსწავლეების „ჩამორჩენილთა“ სიაში მოხვედრის ალბათობა ძალიან დიდია³³. კვლევის ემპირიულ მონაცემთა ბაზაზე სკოლის სოციალური და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად შემუშავდა პრევენციული პროგრამები.

აღსანიშნავია შვედი ფსოქოლოგის, დან ოლვეუსის, კვლევები ნორვეგიულ სკოლებში ძალადობის შესახებ და მისი პრევენციული პროგრამები. ოლვეუსი თავის კვლევებში „ძალადობის“ ტერმინის ნაცვლად „ბულინგის“ ტერმინს იყენებს. იგი იკვლევს არა სკოლაში ძალადობის ზოგად პრობლემებს, არამედ განიხილავს „მოძალადისა“ და „მსხვერპლის“, როგორც აქტიორების, ურთიერთობას³⁴. „ბულინგის“ ტერმინს იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მოსწავლე ბულინგს განიცდის მაშინ, როდესაც ის ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვა მოსწავლეთაგან განმეორებადი ნებატიური ქცევის მსხვერპლი ხდება“. ნებატიური ქცევის გამოხატვა ხდება როგორც ფიზიკური ძალის გამოყენებით, ასევე სიტყვებითა და უსტიკულაციითაც. ჭორის გავრცელება და ჯგუფიდან გარიყვაც ნებატიურ ქცევად განისაზღვრება. ბულინგთან დაკავშირებით გამოიკითხეს 130 000 ნორვეგიელი მოსწავლე. გამოკითხვის შედეგები შემდეგნაირად შეჯამდა: 700 ნორვეგიულ სკოლაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სკოლისა და კლასის სიდიდეს არანაირი გავლენა არა აქვს ბულინგურ ქცევაზე. გერმანიაში შესრულებული კვლევებისგან განსხვავებით, ოლვეუსის კვლევამ აჩვენა, რომ ბულინგურ ქცევასა და სწავლაში წარუმატებლობას შორის მცირედი კორელაცია იგრძნობა. ხოლო მოსწავლეთა გარეგნობასა და ბულინგურ ქცევას შორის არანაირი კორელაცია არ არსებობს. კვლევა კარგად ასახავს ბულინგის „მსხვერპლთა“ და „მოძალადეთა“ სახეს. ოლვეუსის განმარტებით, „მსხვერპლის“ როლში მყოფი მოსწავლეები საკუთარი „მეს“ ნებატიურ კონტექსტს ქმნიან. ისინი სკოლაში მარტოსულები და გარიყულები არიან, არ გამოირჩევიან აგრესიულობით, კლასში მეგობრები არ ჰყავთ და, ძირითადად, შეუმჩნევლები არიან.

„მოძალადეთა“ დამახასიათებელ ნიშნად ოლვეუსი თანატოლების, მასწავლებლებისა და მშობლების მიმართ აგრესიულობას ასახელებს. ისინი „უშიშართა“ იმიჯის მატარებლები არიან. მისი განცხადებით, მოსწავლეები

³³ Tillmann, K.-J. et al (2007), S.272

³⁴ Olweus, D. 2009, S.281

„მოძალადებად“, ასევე, შემთხვევითაც შეიძლება იქცნენ, მაშინ, როდესაც უნებლიერ იმეორებენ მეგობართა აგრესიულ ქცევას და მონაწილეობენ მასში³⁵. კვლევის ამ სფეროში დან ოლგეუსის ღვაწლი მნიშვნელოვანია იმ პრევენციული პროგრამებითაც, რომლებიც მან შეიმუშავა ამ კვლევების შედეგების საფუძველზე.

4. ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია და შედეგების მიმიხილვა

კვლევის მეთოდოლოგია

მას შემდეგ, რაც წინა ორ ნაწილში განვიხილეთ ჩატარებული კვლევის თეორიულ და ემპირიულ კვლევათა ბაზისი, წინამდებარე ნაწილი ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიისა და შედეგთა ტენდენციის მოკლე მიმოხილვას.

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, კვლევის მიზანია, დაგვანახოს თუ როგორ აღიქვამენ მოზარდები ძალადობას, რამდენად ხშირია იგი ქართულ სკოლებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ამასთან ერთად, კვლევის ძირითადი მიზანი სკოლაში ძალადობის გამომწვევი ფაქტორების წარმოჩენაც გახლავთ. კვლევის ფარგლებში გაშუქდა უშუალოდ მოზარდების მიერ ჩადენილი ძალადობა და ამ ქცევის გამომწვევი ზოგადი პირობები. ძირითადი ყურადღება გამახვილდა სკოლის ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე, მაგალითად, მისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ზეწოლაზე და ამ ზეწოლის ნიადაგზე წარმოქმნილ მარცხზე. კვლევა ფოკუსირდება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. გარდა ამისა, ძალადობის, როგორც ქცევის, საფუძვლად განხილულია ინტერაქტიული კონტექსტი, კერძოდ, ის, თუ როგორ წარმოიშვება „face-to-face“, უშუალო ინტერაქციის პროცესში აგრესიული ქცევა. დაფიქსირდა მოსწავლეთა, როგორც შემსრულებლის, მსხვერპლისა და დამკვირვებლის პოზიციები.

საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა პროფესორ ტილმანისა და მისი ჯგუფის მიერ შემუშავებული და ქართულ რეალობაზე მორგებული კითხვარი.

³⁵ Olweus, D. 2009, S.286

კითხვარის შემადგენელ დებულებათა (Items) რაოდენობა 233-ია. კითხვარი შედგენილია შემდეგ ინდიკატორების მიხედვით:

- ოჯახის სოციალიზაციის პირობები, რომელიც წარმოადგენს ელემენტთა შემდეგ ინდექსს: ოჯახის პოზიტიური გარემო, მშობელთა რესტრიქტული ქცევა, მშობელთა აგრესიული აღზრდის მეთოდი, ოჯახის გადაწყვეტილებებში მონაწილეობა, მშობელთა გულგრილობა;
 - თანატოლების სოციალიზაციის პირობების ინდექსი: სამეგობრო წრე, სკოლის მეგობრები, მეგობართა წრე სქესის მიხედვით, მეგობართა ტოლერანტობა, სამეგობრო წრის აგრესიული თრიენტაცია, სამეგობრო წრის კეთილგანწყობა;
 - ძელის სოციალიზაციის პირობის ინდექსი: ელექტრონულ ხელსაწყოთა ფლობა, სატელევიზიო არხები, ტელევიზორთან გატარებული დრო, მშობელთა მიერ ელექტრონულ ხელსაწყოთა მოხმარების აკრძალვა;
 - სკოლის სახწავლო გარემოს ინდექსი: სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ რეალობასთან სიახლოვე, მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, სასწავლო მასალის დაძლევის შიში, მასწავლებლის თანადგომა, სკოლის შენობისა და საკლასო ოთახის მდგომარეობა, კლასგარეშე აქტიურობა;
 - სკოლის სოციალური გარემოს ინდექსი: მოსწავლეთა კონფორმიზმი და სოლიდარიზმი, საკუთარი შეხედულების გამოხატვის შესაძლებლობა;
 - მოსწავლეთა სოციალური ქცევისა და ურთიერთობების ინდექსი: სკოლის წესები და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა (კონტაქტი, ნდობა, აღიარება), მოსწავლეთა ურთიერთობა (ერთობა, კონკურენცია და დეზინტეგრაცია);
 - სკოლის ინტერაქტიული გარემოს ინდექსი: ეტიკეტირება და გარიყვა;
 - მოსწავლეთა თვითშეფასების ინდექსი: პოზიტიური და ნეგატიური თვითკრიტიკა, თვიტკონტროლი;
 - სკოლის შიში;
 - მშობელთა განათლების დონე, პროფესია და ფინანსური მდგომარეობა.
- პირველ ეტაპზე შესრულდა ჩამოთვლილ ინდიკატორთა და ელემენტთა აღწერითი ანალიზი. მეორე ეტაპი ეთმობა იმავე ინდიკატორთა კორელაციურ გადამოწმებას. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, „ძალადობა“ განვიხილავთ შემსრულებლის, მსხვერპლისა და დამკვირვებლის პოზიციებან. განხილულია

როგორც ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობა. აღრიცხულია ძალადობის გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერვენციის მაჩვენებელი.

მონაცემთა შეგროვება სკოლებში მოხდა 2011 წლის აპრილ-მაისში. სკოლების შერჩევა მოხდა შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- ადგილმდებარეობა: დიდი და პატარა ქალაქი, დაბა და სოფელი;
- სკოლის სიდიდე მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით;
- სკოლის ტიპი: საჯარო და კერძო;
- კლასები: მე-8-დან მე-12 კლასების ჩათვლით.

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 1178 გახლავთ. გადარჩევის შემდეგ (არასრულად შევსებული კითხვარები ამოღებული იქნა) კი 998-ია. გამოკითხვა კლასების მიხედვით ჩატარდა და შეადგენდა გაკვეთილის ერთ აკადემიურ საათს. შეირჩა ცამეტი საჯარო და სამი კერძო სკოლა. გამოკითულთაგან ექვსი საჯარო სკოლა დედაქალაქში (თბილისი) მდებარეობს, განსხვავების საჩვენებლად სკოლათა მეორე ნახევარი ქუთაისში, ჭიათურაში, საჩხერესა და სურამში იქნა შერჩეული. ასევე შეირჩა იმერეთის ორი სოფლის სკოლა.

რადგან კვლევა ჯერ დასრულებული არ არის და მონაცემთა მთლიანი დაანგარიშება და გადამოწმება არ მომხდარა, ამიტომ შედეგების ტენდენციის საჩვენებლად, შემთხვევითი ამორჩევის პრინციპით, შეირჩა გამოკითხულთა 10% (99 მოსწავლე). თითოეული სკოლის ყველა კლასიდან (VIII, IX, X, XI და XII კლასები) ამოირჩა 2 მოსწავლე ანუ თითო სკოლიდან – 5 გოგონა და 5 ბიჭი. მონაცემები შეუვანილი იქნა SPSS-ში და განხორციელდა მათი ანალიზი. თავდაპირველად წარმოდგენილი იქნება ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის აღქმის ტენდენციები დამკვირვებლის, შემსრულებლისა და მსხვერპლის პერსპექტივიდან. ასევე, განვიხილავთ, თუ როგორ აღიქვამენ და აფასებენ სკოლის გარე და შიდა სოციალიზაციის პირობებს მოსწავლეები და ნაჩვენები იქნება მათი გავლენის ტენდენცია მოზარდების ძალადობრივ ქვევაზე.

ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ტენდენციის მაჩვენებლებლები ქართულ სკოლებში

შემჩნეული ფიზიკური ძალადობა დამკვირვებლის პოზიციიდან

	ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენჯერ ჟესტარი:	არასდროს	რამდენიმე თვეში ერთხელ	ბევრჯერ თვეში	ბევრჯერ კვირაში	თითქმის ყოველდღე
111	სკოლის ინგენტარის გაფუჭებას	36,4%	44,4%	10,1%	5,1%	4%
115	ორ ბიჭს შორის ჩეუბს (ცემის სახით)	33,3%	36,4%	19,2%	5,1%	6,1%
116	ორ გოგონას შორის ჩეუბს (ცემის სახით)	56,6%	31,3%	6,1%	2%	4%
118	მოსწავლეთა ორ ჯგუფს შორის ჩეუბს (ცემის სახით)	47,5%	41,4%	8,1%	1%	2%

ტენდენციის თანახმად, ფიზიკური და ფსიქიკური („მოსწავლეებს ერთმანეთისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ“) ძალადობის შემჩნევის ფაქტები ან არასდროს აღინიშნება ან რამდენიმე თვეში ერთხელ. სკოლის ინგენტარის დაზიანების ფაქტებს ბიჭები უფრო მეტად ამჩნევენ, ვიდრე გოგონები; ამის საწინააღმდეგოა ფიზიკური ძალადობის შემჩნევის ტენდენცია ბიჭებსა და გოგონებს შორის – ამგარ ფაქტებს გოგონები უფრო მეტად ამჩნევენ. ხოლო მოსწავლეთა ორ ჯგუფს შორის ჩეუბს ბიჭები უფრო მეტად აფიქსირებენ. ფიზიკური ძალადობის ფაქტები, ძირითადად, IX და X კლასებში შეიმჩნევა.

ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა შემსრულებლის პოზიციიდან

	ბოლო 12 თვის განმავლობაში თვალი რამდენჯერ ჩაგიდენია შემდეგი საქციელი?	არასდროს	რამდენიმე თვეში ერთხელ	ბევრჯერ თვეში	ბევრჯერ კვირაში	თითქმის ყოველდღე
130	სკოლის შენობის ნივთები დამიზიანებია	73,7%	18,2%	6,1%	1%	1%
132	სკოლის ეზოში ვინმეს ჩავსაფრებიგარ და	90,9%	6,1%	1%	2%	0%

	დაგმუქრებივარ					
--	----------------------	--	--	--	--	--

ტენდენციის თანახმად, ფიზიკური ძალადობის პროცენტული მაჩვენებელი ნათელია: გამოკითხულთა 90,9% აცხადებს, რომ სკოლის ეზოში მუქარის მიზნით არავის არ ჩასაფრებია, ხოლო გამოკითხულთა 73,7% სკოლის შენობის ნივთების დაზიანებას უარყოფს. ფიზიკური ძალადობის შემსრულებლებად (130, 132), ძირითადად, ბიჭები გვევლინებიან, მაგრამ ისინიც ძალიან დაბალი მაჩვენებლით და მხოლოდ რამდენიმე თვეში ერთხელ.

	ბოლო 12 თვის განმავლობაში თავად რამდენჯერ ჩაგიდენია შემდგენ საქციელი?	არასდროს	რამდენიმე თვეში ერთხელ	ბევრჯერ თვეში	ბევრჯერ კვირაში	თითქმის ყოველდღე
135	გაძვეთილზე სხვა მოსწავლეები გამიბრაზებია	49,5%	31,3%	11,1%	7,1%	1%
140	გაძვეთილისთვის განზრახ შემიშლია ხელი	68,7%	18,2%	8,1%	4%	1%

ფსიქიკური ძალადობის ტენდენციის მაჩვენელი „არასდროს“ და „რამდენიმე თვეში ერთხელ“ შორისაა. აქაც ფსიქიკური ძალადობის შემსრულებლად, ძირითადად, ბიჭები აცხადებენ თავს.

ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა მსხვერპლის პოზიციიდან

	ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენჯერ მომხდარა, რომ სკოლაში...	არასდროს	რამდენიმე თვეში ერთხელ	ბევრჯერ თვეში	ბევრჯერ კვირაში	თითქმის ყოველდღე
144	სხვებს უცემისარ	90,9%	7,1%	1%	0%	1%
145	სხვებს დაუცინავთ ან გაუბრაზებისარ	53,5%	37,4%	6,1%	2%	1%
149	სხვებს შენთვის რამე წაერთვათ	86,9%	10,1%	1%	1%	1%

ტენდენციის თანახმად, ფსიქიკური ძალადობის (145) მაჩვენებელი, ფიზიკურთან შედარებით, უფრო მაღალია. თუმცა ამის მიზეზად შეიძლება ის ფაქტი დასახელდეს, რომ, მოსწავლეების უმეტესობის განცხადებით, დაცინვა მათთვის ხუმრობის ტოლფასია. ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლი ბიჭებიც და გოგონებიც თანაბრად ხდებიან.

როგორ აფასებენ მოსწავლეები „ძალადობას“ როგორც ქცევას?

	გთხოვ განსაზღვრო, რამდენად ეთანხმები ან არ ეთანხმები შემდეგ მოსაზრებებს?	სრულიად ვეთანხმე ბი	ვეთანხმები ები	ნაწილობრივ ვეთანხმები და ნაწილობრივ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმე ბი	სრულიად არ ვეთანხმები
169	ძალადობა თავისთავად მიეკუთვნება ადამიანის ბუნებრივ თვისებებს	15,2%	26,3%	35,4%	15,2%	8,1%
171	საკუთარი შეხედულებების დასაცავად, ადამიანმა ძალადობაც შეიძლება რომ გამოიყენოს	7,1%	13,1%	34,3%	27,3%	18,2%

როგორც ტენდენცია აჩვენებს, შუალედურია მოსწავლეთა „ძალადობის“, როგორც ქცევის, შეფასება. გარდა ამისა, მოსწავლეთა 26,3% თვლის, რომ ძალადობა ადამიანის ბუნებრივი თვისება, 27,3% კი აცხადებს, რომ საკუთარი შეხედულებების დასაცავად ადამიანმა ძალადობა არ უნდა გამოიყენოს. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა აზრი ძალადობაზე შუალედურია და, ამავდროულად, ბუნებრივ თვისებადაც განისაზღვრება. თუმცა, მოსწავლეები საკუთარი ინტერესების დასაცავად მისი გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავენ. მოსწავლეთა ინტერვენციის მაჩვენებელი, მასწავლებელთა ინტერვენციის მაჩვენებელთან შედარებით, ნაკლებია.

ოჯახის სოციალიზაციის პირობები და მათი გავლენა ძალადობაზე

მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობა ოჯახურ გარემოს (19) დადებითად აფასებს. ისინი თვლიან, რომ მშობლები ნაწილობრივ

განსაზღვრავენ მათ ქცევას (20) და მათი აზრი მშობლებისთვის მნიშვნელოვანია (29). მშობელთა გულგრილობის კოეფიციენტის მაჩვენებელი ძალიან დაბალია (30). ასაკობრივ ზრდასთან ერთად ოჯახის პოზიტიური გარემოს დადებითად აღქმა მცირეოდენი განსხვავებით მცირდება. ბიჭების მეტი ნაწილი, მცირედი განსხვავებით, მშობელთა აღზრდის მეთოდს შემზღვდებითად და აგრესიულად აფასებს. მოსწავლეთა უმრავლესობა მშობელთა აღზრდის მეთოდს არააგრესიულად (24) აფასებს.

	N =99	სრულიად გეთანხმები	გეთანხმები	ნაწილობრივ	არ გეთანხმები	სრულიად არ გეთანხმები
19	ჩემს სახლში კარგად ვგრძნობ თავს	68%	18,2%	10,1%	3%	0%
20	ძირითადად ჩემი მშობლები განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ უნდა მოვიქცე და რა უნდა გავაკეთო	16%	19,2%	38,4%	21,2%	5,1%
24	სახლში ერთოორჯერ მომხვედრია კიდევაც	5%	26%	12%	31%	25%
29	ჩემი მშობლებისთვის ჩემი აზრი მნიშვნელოვანია	31%	41%	21%	5,1%	1%
30	ჩემი მშობლებისთვის სულერთია, მე რას ვაკეთებ	1%	5,1%	4%	31,3%	58%

სოციალ-ეკოლოგიური პერსპექტივიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ოჯახის სოციალიზაციის პირობები და სოციალური გამოცდილება, რომლებსაც მოზარდები ოჯახში იღებენ, გავლენას ახდენს მათ ქცევაზე, რომელიც თავს იჩენს სკოლაში აგრესიული და ძალადობრივი ქცევის სახით. იმის საჩვენებლად, თუ მოზარდებში ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბებაზე რამდენად ახდენს გავლენას ოჯახის გარემო, ფორმულირებული იქნა სამი ძირითადი საკვლევი ჰიპოთეზა:

- I. მშობელთა შემძლებელები აღზრდის მეთოდი იწვევს აგრესის ჩამოყალიბებას მოზარდებში;

2. თუ მოზარდები თჯახში ქარგად არ გრძნობენ თავს, ისინი აგრესიულები ხდებიან;
3. რაც უფრო ხშირად განიცდიან მოზარდები ძალადობას თჯახში, მით უფრო ძეგლადაა მოსალოდნელი მათგან აგრესიული ქცევა.

ტენდენციის თანახმად, თჯახის გარემო, რომელშიც პოზიტიური გარემოა, ნეგატიურ კორელაციაშია ფსიქიკურ და ფიზიკურ ძალადობასთან. ხოლო მშობელთა შემზღვეველი აღზრდის მეთოდი პოზიტიურ, თუმცა ძალიან მსუბუქ კორელაციაში დგას მოზარდების ძალადობრივ ქცევასთან.

თანატოლების სოციალიზაციის პირობები და მათი გავლენა ძალადობაზე

სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენად სახელდება თანატოლთა გავლენა მოზარდებზე. განვითარების ამ ფაზაში მათვის მნიშვნელოვანია მეგობრების შეძენა და სამეგობრო წრეებში ინტეგრირება. ისინი ცდილობენ მშობელთა „მარწუხებიდან“ თავის დაღწევას და ივითარებენ საკუთარი აზრის გამოხატვის ტენდენციას. გამოკითხვის თანახმად, ქართველ მოსწავლეებს ბევრი მეგობარი ჰყავთ. მათი სამეგობრო წრე მარტო სკოლის ფარგლებში შეძენილი მეგობრებით არ შემოიფარგლება. აღრიცხული იქნა მეგობართა მიმართ მათი ტოლერანტობის (13), აგრესიისა (15) და კუთილგანწყობის (18) მაჩვენებელი:

	N =99	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები და ნაწილობრივ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
13	მასთან, ვინც სულ წუწუნებს და სხვებს აკრიტიკებს არ ვმეგობრობთ	16,2%	18,2%	48,2%	11,1%	6,1%
15	ბოლო ერთი წლის განმავლობასი ხშირად გვიჩეუბია სხვა ჯგუფებთან	6,1%	13,1%	15,2%	42,4%	23,2%
18	ჩემს სამეგობრო წრეში კარგად ვგრძნობ თავს	69,1%	25,3%	1%	1%	3%

ტენდენციის თანახმად, მოსწავლეთა უმრავლესობას კრიტიკული დამოკიდებულება აქვს მათ მიმართ, ვინც სულ წუწუნებს და სხვებს აკრიტიკებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭების ტოლერანტულობის მაჩვნებელი უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებისა. აღირიცხება სხვა ჯგუფებისადმი არააგრესიულობის მაღალი კოეფიციენტი, თუმცა აგრესიული ქცევის მაჩვნებელიც შესამჩნევია. მოსწავლეთა უმრავლესობის განცხადებით, მათ სამეგობრო წრეში კეთილგანწყობა იგრძნობა. შედეგი აჩვენებს, რომ მოსწავლეთა არატოლერანტული დამოკიდებულება თანატოლთა მიმართ აგრესიულ ქმედებას აძლიერებს.

სკოლის სასწავლო გარემო და მისი გავლენა ძალადობაზე

სკოლის გარემო ის სამყაროა, რომელშიც მოზარდები თავიანთი ცხოვრების დიდ დროს ატარებენ. ისინი არ არიან პასიურები მათ გარშემო არსებულ სამყაროში, ამ შემთხვევაში, სკოლაში, არამედ ინდივიდუალური კომპეტენციებით აქტიურ გავლენასაც ახდენენ მასზე. წინამდებარე ნაწილი განხილავს მოსწავლეთა მიერ აღქმულ სკოლის სასწავლო გარემოს, კერძოდ, ნაჩვენები იქნება მათი აზრი სასწავლო მასალის რეალობასთან სიახლოვის (33,34), მასწავლებელთა პროფესიონალიზმის (36,37), სასწავლო მასალის დაძლევის შიშის (38,39), მასწავლებელთა თანადგომის (46,47,49), სკოლის შენობისა და საკლასო ოთახის მდგომარეობის (53,54), კლასგარეშე აქტიურობის (58) შესახებ.

	N =99	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები და ნაწილობრივ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
33	მეჩვენაბა, რომ ბევრი რამ, რასაც სკოლასი ვსწავლობთ, ჩემი მომავალი პროფესიისთვის გამოუყენებადი იქნება	8,1%	8,2%	39,4%	24,2%	10,1%
34	მასალა, რასაც სკოლაში გავდიგართ ძალიან მაინტერესებს	9,1%	30,3%	49,5%	11,1%	0%
36	მასწავლებლებს ძირითადად უინტერესოდ მიჰყავთ	5,1%	15,2%	34,3%	36,4%	9,1%

	გაძვეთილი					
37	მასწავლებლები თვალსაჩინოდ და გასაგებად აგებენ გაკვეთილს	12,1%	34,3%	43,4%	8,1%	2,1%
38	ხშირ შემთხვევაში ერთდროულად ძალიან ბევრი გამოცდის ჩაბარება გვიწევს	19,2%	22,2%	24,2%	28,3%	6,1%
39	ჩემი აზრით სკოლის მასალა ძალიან ადვილია	2%	16,2%	51,5%	22,2%	8,1%
46	მასწავლებლები ძირითადად საყვარელ და წარმატებულ მოსწავლეებს ანიჭებენ უპირატესობას	16,2%	28,3%	33,3%	17,2%	5,1%
47	მასწავლებლების დიდი ნაწილი ცდილობს, რომ თითოეული მოსწავლე პიროვნულად კარგად გაიცნოს	14,1%	47,5%	26,3%	6,1%	6,1%
48	ჩამორჩნილი მოსწავლეებისთვის, მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ	10,1%	15,2%	25,3%	38,4%	11,1%
53	ჩვენი საკლასო ოთახი სასიამოვნოდ არის მოწყობილი	13,1%	18,2%	34,3%	21,2%	3,1%
54	ჩვენი სკოლა შიგნიდან ლამაზად არის მოწყობილი	15,2%	31,3%	26,3%	21,2%	6,1%

მოსწავლეთა საერთო აზრი სკოლის სასწავლო გარემოსთან მიმართებაში შეალებული ტენდენციის მაჩვენებელია, არ ხდება მისი არც სრულყოფილი დადებითი და არც სრულყოფილი უარყოფითი შეფასება; მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს სკოლაში მიღებული ცოდნის გარკვეული განსაზღვრა, თუ რამდენად შეძლებენ ისინი სკოლაში მიღებული ცოდნის რეალობაში, კერძოდ კი, პროფესიულ ცხოვრებაში გამოყენებას. ისინი, სკოლის მასალის დაძლევისას, ძირითადად, უპრობლემოდ აღიქვამენ, თუმცა მასალის სიმნელეს შეალებულად და “ცოტა რთულად” აფასებენ. მასწავლებელთა თანადგომა დადებითად იქნა შეფასებული, თუმცა, მოსწავლეთა უმრავლესობის აზრით,

მასწავლებლები, ძირითადად, საყვარელ და წარმატებულ მოსწავლეებს ანიჭებენ უპირატესობას. საკლასო ოთახის კეთილმოწყობის შეფასებისას უარყოფითი ტენდენცია იგრძნობა. მოსწავლეების 83,8% უკმაყოფილებას გამოთქმას ექსკურსიების, სკოლის ზეიმების, კვირის პროექტების მიმართ. სკოლებში არ არის საშინაო დავალების დახმარების წრეები, სასაუბრო ოთახები, სკოლის ეზოები არაა კეთილმოწყობილი და სკოლათა უმრავლესობას, განსაკუთრებით, ქალაქის ცენტრში მდებარე სკოლებს, საერთოდ არ აქვს სკოლის ეზო.

განხილული იქნა სკოლის შენობისა და საკლასო ოთახის მდგომარეობა სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით. მათ მდგომარეობას თბილისის ცენტრში მდებარე სკოლის მოსწავლეები დადგებითად აფასებენ, თბილისის გარეუბნისა და რაიონის სკოლის მოსწავლეები კი უკმაყოფილონი არიან. მასწავლებელთა პროფესიონალიზმში, სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით, არანაირი განსხვავება არ იგრძნობა.

ბივარიაციული კორელაციის თანახმად, ტენდენციამ დაადასტურა სანდო კორელაცია სასწავლო მასალის რეალობასა (33, 34) და ძალადობას, მასწავლებელთა პროფესიონალიზმსა (36) და ძალადობას, გამოცდების რაოდენობასა (38) და ძალადობას, მასწავლებელთა თანადგომასა (48) და ძალადობას და სკოლის მდებარეობასა და ძალადობას შორის. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სასწავლო გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეების ქცევის განვითარებაზე, კერძოდ კი, ძალადობრივი ტენდენციის ჩამოყალიბებაზე.

სკოლის სოციალური გარემო და მისი გავლენა ძალადობაზე

კვლევის ფარგლებში აღირიცხა მოსწავლეთა სუბიექტური შეფასებები სკოლის სოციალურ გარემო დაკავშირებით. „სოციალური გარემოში“ სკოლის სოციალურ-ინტერაქციული სტრუქტურა და პედაგოგიური გარემო იგულისხმება. აქ ლაპარაკია მოსწავლუ-მოსწავლისა და მოსწავლე-მასწავლებლის სოციალურ ურთიერთობაზე, რომელიც აგებულია ნორმატიულ მოლოდინებზე, მაგალითად, დისციპლინარულ მოთხოვნებსა და სოციალური ქცევის წესებზე.

მოსწავლუ-მოსწავლის ურთიერთობის კვლევისას აღრიცხული იქნა მათთან

ურთიერთთანადგომა-სოლიდარიზმის(96), კონკურენციისა(99,69,72) და
დეზინტეგრაციის კოეფიციენტი. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის
კვლევისას კი - აღიარება(87), შეზღუდვა(81,91) და თანამონაწილეობა(84).

	N =99	სრულიად გეთანხმე ბი	გეთანხმე ბი	ნაწილობრივ გეთანხმები და ნაწილობრივ არ გეთანხმები	არ გეთანხმე ბი	სრულიად არ გეთანხმები
69	საქმე ნიშნებს თუ ეხება ყველა თავის თავზე ფიქრობს	21,2%	44,4%	27,3%	5,1%	2%
72	ჩვენს ქლასში ნიშნების გამო შეჯიბრი მიმდინარეობს	8,1%	16,2%	26,3%	34,3%	15,2%
80	ძირითადად აზრი არა აქვს, სკოლაში არსებული წესებისა და აკრძალვების წინააღმდეგ ბრძოლას	5,1%	24,2%	40,4%	21,2%	9,1%
81	მასწავლებლების ძირითადი ნაწილი მოსწავლეთა განკიცხვისას, არ კითხულობს მიზეზს, თუ რა მოხდა	11,1%	19,2%	26,3%	28,3%	15,2%
84	მასწავლებლები, რამე თუ არ მოგვწონს, ჩვენს აზრსაც ითვალისწინებენ	11,1%	30,3%	41,4%	13,1%	4%
86	სასწავლო გეგმების შედგენისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მასწავლებლები ჩვენს აზრსაც ითვალისწინებენ	12,1%	26,3%	39,4%	10,1%	12,1
87	მასწავლებლები ხშირად ცუდად გვახასიათებენ, რაიმე თუ დავაშვეთ	12,1%	36,4%	31,3%	19,2%	1%
91	მოსწავლეებს, რომლებიც სკოლის წესებს არღვევენ, მასწავლებლები ხშირად ცუდ ნიშნებსაც უწერენ	17,2%	26,3%	29,3%	21,2%	6,1%
96	მოსწავლეების დიდ ნაწილს კარგი ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან	24,2%	47,5%	22,2%	3%	3%

99	ჩვენი კლასის უმეტესობას სხვა მოსწავლის წარმატება სშირად შურს	9,1%	7,1%	30,3%	35,4%	18,2%
----	--	------	------	-------	-------	-------

ნიშნებთან დაკავშირებით მოსწავლეებში ეგოისტური ქცევის ტენდენცია ფიქსირდება. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ, საქმე ნიშნებს თუ ეხება, ყველა თავის თავზე ფიქრობს. ამავდროულად, მოსწავლეთა უმრავლესობის აზრით, მათ სხვა მოსწავლეების წარმატების არ შერთ. ასევე, 34% აცხადებს, რომ მათს კლასში ნიშნების გამო შეჯიბრი არ მიმდინარეობს. მოსწავლეების დიდ ნაწილს კარგი ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან.

სკოლაში არსებული წესებისა და აკრძალვების წინააღმდეგ თავისუფალი აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით შუალედურია მოსწავლეთა ტენდენცია, თუმცა, მცირედი განსხვავებით ფიქსირდება, რომ, უმრავლესობის აზრით, უშედეგობა სკოლაში არსებული წესებისა და აკრძალვების წინააღმდეგ აზრის გამოთქმა.

მასწავლებელთა შეზღუდვის(81,91) მაჩვენებელში ტენდენციურად დიდი განსხვავება არ იგრძნობა. მოსწავლეთა კომენტარებიდან გამომდინარე, ამის მიზეზად შეიძლება ის ფაქტი დასახელდეს, რომ მათ ყველა მასწავლებელთან სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აქვთ: ზოგთან ახლო, ზოგთან დისტანციური და ზოგთან კი შიშჩე დაფუძნებული. ასევე 84-ე კითხვასთან ფიქსირდება შუალედური ტენდენცია, მიზეზად იგივე შეიძლება, დასახელდეს. საინტერესოა, როგორ აღიქვამენ მოსწავლეები მასწავლებელთა სანქციონირების მეთოდს. უმრავლესობის აზრით, დისციპლინის დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში მასწავლებლები მათ ცუდად ახასიათებენ (ეტიკეტირება) და, ხშირ შემთხვევაში, ცუდ ნიშნებსაც უწერენ.

სკოლის სოციალური გარემოს ინდექსსა და ძალადობრივ ქცევას შორის მცირედი კორელაცია შეინიშნება.

5. დასკვნა

ტენდენციის თანახმად, შემჩნეული ფიზიკური ძალადობის მაჩვენებელი ორ ბიჭსა და ორ ჯგუფს შორის უფრო მაღალია, ვიდრე ორ გოგონას და სკოლის ინვენტარის გაფუჭებას შორის. თუმცა აქვე აუცილებელია

ადინიშნოს, რომ ძალადობის შემჩნევის ფაქტები “არასდროს” ან “რამდენიმე თვეში ერთხელ” ფიქსირდება. გამოკითხულთა 90,9% აცხადებს, რომ სკოლის ეზოში მუქარის მიზნით არავის ჩასაფრებია. ფიზიკური ძალადობის შემსრულებლად ძირითადად ბიჭები გვევლინებიან. ფსიქიკური ძალადობის მაჩვენებელი ფიზიკური ძალადობის მაჩვენებელზე მაღალია.

მოსწავლეთა აზრი სკოლის სასწავლო გარემოსთან მიმართებაში შეაღედურია. უმრავლესობას უჭირს მიღებული ცოდნის გარეპენტიული განსაზღვრა, თუ რამდენად შესძლებენ ისინი სკოლაში მიღებული ცოდნის რეალობაში, კერძოდ კი პროფესიულ ცხოვრებაში გამოყენებას. დაფიქსირდა სკოლის სასწავლო გარემოს გავლენა მოსწავლეების ქცევის, ძალადობრივი ტენდენციის განვითარებაზე. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ასევე, სკოლის ინტერაქტიული გარემო, ფიქსირდება ეტიკეტირების მაღალი მაჩვენებელი და მისი გავლენა ძალადობრივ ქცევაზე.

ნაჩვენები ტენდენციების თანახმად, შედეგი, შეიძლება, ამბივალენტურად შეფასდეს: ერთი მხრივ დადასტურდა, რომ პედაგოგიური სასწავლო გარემო და ინტეგრაციაზე მიმართული სოციალური გარემო პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლეების ქცევისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტო სკოლის პოზიტიური სასწავლო და სოციალური გარემო არ შეამცირებს ძალადობას სკოლაში. ამას მოცემული სტატისტიკური მონაცემების ტენდენციაც ადასტურებს, რადგან მარტო მათი გავლენის მაჩვენებელი მცირედია. ასევე, აუცილებელია სოციალიზაციის გარე პირობების (ოჯახი, მედიალური სამყარო, თანატოლები) მოზარდებზე გავლენის გათვალისწინება, დეტალური შესწავლა და სათანადო შეთანხმებული პრევენციული დონისძიებების შემუშავება.

აკტორის შესახებ

დიანა ბოგიშვილი არის მიუნისენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ზოგადი პედაგოგიკისა და განათლების კვლევის კათედრის, მოზარდობა კვლევის განყოფილების დოქტორანტი. 2008 წელს მან დაამთავრა მიუნისენის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი, განათლების და ორგანიზაციის სოციოლოგიის სპეციალობებით. 1998 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 2009 წლიდან დღემდე მუშაობს მიუნისენის საჯარო სკოლაში არსებულ გახანგრძლივებული ჯგუფის პედაგოგიურ ხელმძღვანელად. 2011 წლიდან ის იკვლევს მოზარდებში ძალადობის აღქმის და განხორციელების პრობლემას სკოლაში.

ბიბლიოგრაფია

- Geulen, D. (2002): *Sozialtheoretische Ansätze*. In: Krüger, H.-H; Grunert, C. (Hg.): Handbuch Kindheits und Jugendforschung. Opladen: Leske und Budrich, S. 83-98
- Grundmann, M. (Hg.) (2000): *Sozialökologische Sozialisationsforschung. Ein anwendungsorientiertes Lehr- und Studienbuch*. Konstanz: UVK Univ.-Verl. Konstanz (Konstanzer Beiträge zur sozialwissenschaftlichen Forschung, 9).
- Holtappels, H.G. (1987): *Schulprobleme und abweichendes Verhalten aus der Schülerperspektive. Empirische Studie zu Sozialisationseffekten im situationellen und interaktionellen Handlungskontext der Schule*. Bochum: Ulrich Schwallwig Verlag
- Hurrelmann, K. (1993): *Einführung in die Sozialisationstheorie. Über den Zusammenhang von Sozialstruktur und Persönlichkeit*. 4. Aufl. Weinheim und Basel: Beltz Verlag
- Meier, U.; Tillmann, K.-J. (2000): *Gewalt in der Schule – importiert oder selbstproduziert*. In Praxis der Kinderpsychologie und Kinderpsychiatrie, Jg. 49, H. 1, S.36-52
- Melzer, W. (Hg.) (2006): *Gewalt an Schulen. Analyse und Prävention*. Orig.-Ausg. Giessen: Psychosozial-Verlag (Edition Psychosozial)
- Melzer, W.; Schubarth, W.; Ehninger, F. et al. (Hg.) (2004): *Gewaltprävention und Schulentwicklung. Analysen und Handlungskonzepte*. Bad Heilbrunn/Obb.: Klinkhardt (Erziehen und Unterrichten in der Schule)
- Olweus, D. (2009): *Täter- Opferprobleme in der Schule: Erkenntnisstand und Interventionsprogramm*. In: Holtappels, H.-G.; Heitmeyer, W.; Melzer, W.; Tillmann, K.-J. (Hg.): Forschung über Gewalt an Schulen. Erscheinungsformen und Ursachen, Konzepte und Prävention. Weinheim und München: Juventa, S. 281-297
- Otten, S.; Mummendey, A. (2002): *Sozialpsychologische Theorien aggressiven Verhaltens*. In: Frey, D.; Irle, M. (Hg.): Theorien der Sozialpsychologie. Gruppen-, Interaktions- und Lerntheorien. 2., vollst. überarb. und erw. Aufl. Bern: Huber (Psychologie-Kehrtexte, hrsg. von Dieter Frey und Martin Irle; Bd. 2), S. 198-217
- Schubarth, W. (2000): *Gewaltprävention in Schule und Jugendhilfe. Theoretische Grundlagen, empirische Ergebnisse, Praxismodelle*. Neuwied; Kriftel: Luchterhand
- Tillmann, K.-J.; Holler-Nowitzki, B.; Holtappels, H.G.; Meier, U.; Popp, U. (2007): „Schülergewalt als Schulproblem. Verursachende Bedingungen, Erscheinungsformen und pädagogische Handlungsperspektiven“. Weinheim und München: Juventa Verlag